№ 61 მარტი 22, კვირა 1887 მარტი 22, კვირა № 61

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჩიტიშვილის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

დღეს, ამა მარტის 22-ს, დილის 11 საათზედ, კალოუბნის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ახლად მიცვალებულის, **გლეხის იოსებ დავითაშვილის** მოსახსენებლად მის ნაცნობთა და მისის ნიჭის-პატივის მცემელთა მიერ. (3—3)

ტფილისის «კრუჟოკში»
აკაკი
წაიკითხავს რუსულად სამს ლექციას ვეფხვის ტყაოსნის თაობაზედ.

პირველს ლექციას წაიკითხავს სამშაბათს, 24 მარტს.

ბილეთები ისყიდება მორიჯის ბიბლიოთეკაში, სასახლის ქუჩაზე, თ. მუხრან-ბატონის სასახლეში და წაკითხვის დღეს-კი „კრუჟოკში", შვეიცართან.

დასაწყისი 8½ საათზე.

ოთხშაბათს, 25 მარტს

ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო ამავე ხოროს სოლისტის ბ-ნ ბურჯანაძის სასარგებლოდ გაჰმართავს სავანგებოდ ამორჩეულის სიმღერების

კონცერტს

არტისტის ი. ი. რატილის ლოტბარობით.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე

კვირას, 22 მარტს

ტფილისის კლუბში (მუხრან-ბატონის სახლში), საღამოს 7½ საათზე, გამართული იქნება

სასულიერო კონცერტი.

კონცერტს გამართავს საქართველოს ეგზარხოსის ხორო
მამა აუშევის ლოტბარობით.
ბილეთები ისყიდება კლუბის შვეიცართან.

ტფილისი, 21 მარტი

„როცა გვაქვს, არ ვინახავთ,
როცა გვარგავთ-კი, ვსტირით."

დადუმდა საუკუნოდ კიდევ ერთი «მთქმელი»! მოსწყდა ჩვენს ცას ერთი ცოტად თუ ბევრად მანათობელი ვარსკვლავი! კიდევ ერთი „ჩვენგანი" შეიწირა ყოველთა შემწირველმა წუთის-სოფელმა!...

ერთი „ჩვენგანიო" რომ ვამბობთ, განგებ ვამბობთ. ბევრი კვდება ჩვენში ყოველ დღეს, ყოველს წამს,—„სოფელი ასე მქნელია"—მაგრამ ამ ბევრში ყველაზედ არ ითქმის „ჩვენგანიო". იმიტომ-კი არა, რომ ჩვენის სისხლისა და ხორცისა არავინ ჰკვდებოდეს, არა. ერი, თუ საზოგადოება მარტო იმას უნდა ეძახოდეს «ჩვენგანს», ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის სიტყვით, თუ საქმით და თუ ეს ღვაწლი გაბრწყინვალებულია, შუქ-შეხმულია მადლითა. აქ სულ ერთია, თქმაა ეს ღვაწლი, თუ ქმნაა, იმიტომ-რომ ზოგჯერ თქმა ქმნა არის. დიახ, მქმნელია იგი მთქმელიცა, რომელსაც გაწმენდილნი აქვს „თვალნი ზე ზეცისა და ქვე ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად, ყურნი — ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად, ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯის ცემის შემტყობად და ენა ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად".

რა თქმა უნდა, რომ ერთ ნაირის უხვებით არ არის ყველა ამ მადლით მიმადლებული. ამაშიაც არის დიდი-პატარაობა, მაგრამ დიდი თუ პატარა, რაკი ცოტად თუ ბევრად ამ მადლის მექონია, იგი რჩეულია მრავალთა შორის და ეს რჩეულობა არის სამართლიანი მიზეზი და საბუთი, რომლის ძალითაც ერს შეუძლიან თავ-მოწონებით სთქვას: ეს კაცი ჩვენგანიაო. ერთი ამ რჩეულთაგანი იყო იგი გლეხი კაცი, იგი მდაბიო—და მით უფრო მაღალი რომ მდაბიოა,—რომელსაც დღეს ჩვენ იოსებ დავითაშვილის სახელითა კურთხევით ვიხსენიებთ და ვგლოვობთ. მეო, ამბობს იგი ერთს ლექსში:

სოფლელი—გლეხის-შვილი ვარ,
მჯადითა გამოზდილია,
უქუდო, ჩოხის ამარა,
ქალამნებ გაცვეთილია.
ობოლი დავრჩი დედ-მამას,
დრო მადგა გასაჭირია,
სადაც-კი ვარდსა დავეძებ,
იქ მხვდება ეკლის ძირია.
მამაც ამ რიგად ტანჯულა,
ვით ვიტანჯები შვილია,—
თუმცა სათქმელი ბევრი მაქვს,
ვერ გამილია პირია.

ნუ გვეგონოთ, რომ მას ჰშურდეს ვისი რამე, ვისმე რასმე სიხარბით შეჰნატროდეს, ვისი რამე უნდოდეს, სხვისაზე რაზედმე ხელი ეტანებოდეს, გული უთქმიდეს. არა; ყოველს ამაზედ იგი მაღლა სდგას და ამაში ჰსჟღერს დიდი სიმი ეროვნებისა და აქა სცემს უზოროტო ძარღვი ჩვენის ერის უზოროტო გულისა. იგი ამბობს:

თავზედ დამექცეს ცა რისხვით,
სხივი ვერ ვნახო მზისა მე,
მაღალი ღმერთი გამიწყრეს,
თუ რამ ვინდომო სხვისა მე.

ნუ გეგონოთ, რომ ან ტანჯვით გამწარებული ვისისამე მტრობას იგი გულში გაიტარებდეს, გულში ადგილს აძლევდეს, ან ტანჯვითვე გაბოროტებული ვისიმე ჯავრის ამოყრას, სამაგიეროს გადახდას ჰლამოდეს. არა, ამისათვის იგი მეტად სულ გრძელია, მეტად ყოველთა შემწყნარებელი და მიმტევებელია, როგორც მარტო დიდ-ბუნებოვანი კაცია ხოლმე. მტრობა, ძულება, ჯავრი, შურის-ძიება შორს არის მისგან. მისი ნათელი სული არ იკარებს ამ ჭუჭყსა, ამ ქანგსა. იგი ამბობს..

კაცი ხარ, კაცად შობილი
კაცი გიყვარდესო...
ეკკლესიას დახვიდოდე
ყოველ უქმე დღესო;
დავითნი და სახარება
ორივ იქა ძევსო.
იმათში ესე სწერია:
კაცი გიყვარდესო,
კეთილისათვის ბოროტად
თუ ვინმე გხდიდესო,—
სამაგიეროს ნუ უზამ,
დეე თვით მიხვდესო!..
ჩვენსა მხსნელსაც ეს დაჰმართეს,
კაცთა მოყვარესო.

აი ვის ჩაუხედნია გლეხ-კაცის გულში, ვის უნახავს იქ მისნი საიდუმლონი, ვის გაუგონია მისი გულის-ძგერა და მაშასადამე ვინა ტანჯულა კიდეც მათთვის მართლად და ჭეშმარიტად!.. ეს აზრები, ეს გრძნობა, ეს სიტყვა ქარით მობერილი არ არის. ეს მარგალიტები იმ ზღვიდამ არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან. აქ არაფერია ნათხოვარი; არაფერია განგებ ჩაძახილი და მერე ამოძახილი. აქ თავის დიდებას, თავის დიდ-ბუნებოვანობას, სულ-გრძელობას თვითონ ერი მეტყველობს, თვითონ ერი ჰღაღადებს ერთის თავის ჭეშმარიტის შვილის ბაგითა! ტყუილი თავ-მოწონება კი არ არის განსვენებულის მხრით, როცა იგი ამბობს:

მუშა რომ ვარ, მისთვის ვიცი
მუშის გულის-პასუხები.

ეს გულის-პასუხები იცის და მით უფრო გულს მოსახვედრია, გულს ჩასამჩნევია, მით უფრო საკვირველია, რომ მშვიდობის მთქმელი მოციქული იქიდამ მოდის, საცა ესოდენი გულ-ნატკენობაა ჩვენგან, ესოდენი მიზეზია წყრომისა და სამდურავისა. დიახ, იქიდამ მოდის იგი სიტყვითა ყოვლად მხსნელის სიყვარულისა და მოაქვს მწვანე შტო შერიგებისა, ძმობისა და ურთიერთობისა! ბოროტი არ გვახსოვსო, აჰა ძმური ხელიო! გიძმობთ და გვიძმეთო! ამისთანა მარგალიტები მარტო ზღვის ძირშია... ერის გული ზღვაზე უფრო ღრმაა და დიდი საქმეა ვისაც ღონე შესწევნია და თავის საკუთარი გული და თვალი იქამდინ ჩაუწვდენია. ჩვენში ბევრი ვერ დაიქადებს ამასა.

ყველგან, საცა კი რაიმე შემთხვევა ეძლევა, განსვენებული დავითაშვილი სულ ამას იძახის ტკბილისა და მშვიდობიანის სიტყვითა, რომ ჩვენი, მუშა-ხალხის ხსნა სწავლა და განათლებააო. ერთს ლექსში ამას ურჩევს თავის მოძმეთა:

გლეხებმა წიგნი ვისწავლოთ,
ეს არის ჩვენი ვალიო;
გვეყოფა რაც რომ გვეძინა,
დროა გავაღოთ თვალიო.

ანუ:

მე ყარგსა რასმე აგირჩევ,
მიღება შენზედ ჰკიდია:
სწავლაა ბნელის ფანარი,
სწავლა ცხოვრების ხიდია.

მარტო ხელობის რისამე ცოდნა ცოტაა და თუ გინდა რომ იგი ტვირთი აიხსნა, რაც ეხლა გკიდიაო:

არ დაივიწყო, გახსოვდეს
მხსნელი და შემოქმედია,
მოძმისა ტანჯვა გაიგე,
მამულს რა გადახედია...
კარგა გაიგე დროთ ბრუნვა,
ზე-მყოფი ბევრჯელ ქვედია...
ჩემი რჩევანი ეს არის,
სხვა რამ ვსთქვა, იტყვი ყბედია.

განსვენებული ხელოსანი იყო და ჩუქურთმის ჭრა იცოდა, და თუმცა ლუკმა პურსა ვშოულობ ამ ხელობითა, მაგრამ უსწავლელი რომ ვარ, ქვეყნის ბარგი ვარო. იგი ამბობს:

მეც მისწავლია რამე,
ხელოსნათა ვწერივარ,
ხელში მიჭირავს ხვედა,
ჩუქურთმისა მჭრელი ვარ...
ყალბად და მატყუარად
არვის დავუჭერივარ,
შრომით ლუკმას ვშოულობ
და მით ბედნიერი ვარ.
მოძმეს რომ შევეწიო,
სულ ყოველთვის მზათა ვარ,
მაგრამ ვსტირი ჩემს ბედსა—
უსწავლელი რათა ვარ.
მხოლოდ ხელობა ვიცი,
შრომაშიაც მარდი ვარ,
მაგრამ ამასა ვწუხვარ,
რომ ქვეყნისა ბარგი ვარ.

სულ ამ ცოდნისა და განათლების უქონლობასა სჩიოდა და მისი მწუხარება და ნაღველი ის იყო, რომ გლეხი უსწავლელია. ეს ჰკბენდა გულში, ესა სტანჯავდა გარდა იმისა, რომ ეს წუთის-სოფელი სხვისათვის მამა იყო და იმ საცოდავისათვის კი მამინაცვალი. რამოდენად მართალი, გულ-შემატკივარი და აღმომეტყველი იყო გარდაცვალებული გლეხთა გულისნადებისა მისისავე მოძმის სიტყვიდამა სჩანს: *)

სიცოცხლეს ჰლევდი ტანჯვაში,
გული რაღასაც ელოდა;
თავისზედ გაჭირებულსა
რითაც შეეძლო, ჰშველოდა.
მიწამ გიმოყმა, ბედ-შავო,
დღენი ვერ ჰნახე მზიანი,
ვერც გაზაფხული, ბულბული,
ვერც აგიყვავდნენ იანი.
მოშორდი ცოდვის ქვეყანას,
რომ ცრემლით აღარ გენამა...
დაჰმარხე გულში, წარიღე
რაც ვერ გამოსთქვა ენამა.

მუშა იყავი, მით ჰგრძნობდი
მუშისვე გულის წუხილსა
და შენაც თანა-უგრძნობდი
ტანჯულის სისხლის დუღილსა!
მხნეობდი, ძმაო, მათ-შუა,
არ ჰშორდებოდი კრებასა,—
დაზგაზე რანდით ჰლამოდი
მრუდე ხის გასწორებასა...

კიდევ იკითხავთ: ვინ იყო აწ განსვენებული იოსებ დავითაშვილი? ნუ თუ ამას კითხვა-და უნდა! ცოტად რომ მაინც დაუკვირდეთ მთელს მის ნათქვამს ლექსებს, ჰნახავთ, რომ იგი იყო კაცი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად განწმენდილი ჰქონდა თვალნი გლეხთა გულის საიდუმლოთა მნახველად, ყურნი — გლეხთა გულის ძგერის უცნაურთა ხმათა მსმენელად, ხელნი გლეხთა მაჯის ცემის შემტყობად და ენა ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად. გული ერისა იგივ ზესკნელი და ქვესკნელია და ამიტომაც თვალისა, ყურის და ხელის იქამდინ მიწვდენა,—მხვედრია მარტო რჩეულის კაცისა და ერთი ამათგანი იყო იგიც, ვინც დღეს დავკარგეთ. კურთხეულ იყოს სახსენებელი მისი! კურთხეულ იყავ შენ, ვინც:

დაზგაზე რანდით ჰლამოდი
მრუდე ხის გასწორებასა.

---

† მოკლე ბიოგრაფია ი. დავითაშვილისა.

იოსებ დავითაშვილი იყო შვილი გლეხის სვიმონა დავითაშვილისა. დაიბადა სოფელს რუისში, გორის მაზრაში, ამბობენ 1852 წელსაო, თუმცა ეს ცნობა ბევრს საეჭვოდ მიაჩნია. მამა მისი სვიმონი საბატონო კაცი ყოფილა, თ. ალექსანდრე ციციშვილის ყმა. სამის წლისა ყოფილა იოსები, რომ ბატონს მამა მისი აუყრია და გადაუსახლებია მთელის ოჯახით სოფელს გარდატენში. იოსები ცხრა წლამდე აქ იზდებოდა თურმე სოფლის გოგო ბიჭებსა და მწყემსებს შორის. ცხრა წლისა ბატონმა წაიყვანა თურმე შინ მოსამსახურედ სოფელ დოესში. სამი თუ ოთხი წელიწადი უმსახურნია და მერე მის ბედზედ მოსწრებია ბატონ-ყმობის გაუქმება და ამის შემდეგ უფროსს ძმას, რომელიც კარგა ხანია უკვე გადაცვლილია, ჩამოუყვანია ტფილისში, რომ რაისამე ხელობის სასწავლებლად მიებარებინა სადმე, თვითონ იოსების სურვილისა და თხოვნისამებრ. ძმამ მიაბარა იოსები ერთს რუსს მეჩუქურთმეს, გვარად რუბცოვს. აქ დაუყვია ხუთი წელიწადი. მერე ქარგლად შესულა მეჩუქურთმე დავით აბდუშელიძესთან და მას შემდეგ კი თითქმის 1885 წლამდე სულ მეჩუქურთმე დავით გიგაურთან უმუშავნია.

წიგნის სწავლა შაგირდობაშივე დაუწყვია 1874—5 წლებში, და გონება

---

*) იხ. „ივერია", № 58-ე 1887 წ.

გაუხსნია მარტო ქართულის მწიგნობრობის და ჟურნალ-გაზეთობის კითხვით. ლექსების წერა—თუ არა ეცდებით—დაიწყო 1877 წელს: არ არის არც ერთი ჩვენი ჟურნალ-გაზეთი, რომ მისი ტკბილი და მარილიანი ლექსი არ იყოს. „დროება“, «ივერია», «იმედი», „ნობათი“, თეატრი—ერთის სიტყვით ყველგან იპოვით იმის თქმულსა. ცალკე არის გამოცემული ერთი პატარა წიგნაკი, სახელად „სტვირი“. აქ არის ათიოდე მისი ლექსი.

საკვირველი თავ-დაბალი, უწყინარი, უბოროტო კაცი იყო განსვენებული. იმისაგან წყენა, ავი სიტყვა, ავი საქმე არავის ახსოვს. დიდი მოყვარული იყო თავის ქვეყნისა, ქართულის ლიტერატურისა და სიტყვიერებისა. რაც-კი რამ დაწერილა და დაბეჭდილა ამ უკანასკნელს ათხუთმეტს წელიწადში, ყველა გულმოდგინეობით ჰქონდა გადაკითხული. ბევრი არა უწერია რა, მაგრამ რაც დაწერა, იმათში ასეთი მარგალიტები ამოირჩევა, რომ კაცს დაატკობს აზრითაც და სიტყვიერებითაც.

აქეთ იქით ბევრს დადიოდა განსვენებული, მონასტრებსა და ძველს ნაშთებსა სინჯავდა. საცა კი რაიმე შესამჩნევს ან ჩუქურთმას, ან წარწერილს ჰნახავდა, გადმოიღებდა ხოლმე. არა ერთი და ორი კორრესპონდენციაც მოუწერია გაგონილისა და თვალით ნახულის თაობაზედ. მეტად საყვარელი, ტკბილი, ჩუმი კაცი იყო. ქალაქის ხელოსნებს და სხვაგანაც, საცა იცნობდნენ, ყველას უყვარდა და ყველა პატივსა სცემდა.

ახალი ამბავი

⁂ წარსულს ხუთშაბათს, 18 მარტს, მიცვალებულის პოეტის იოსებ დავითაშვილის სამშობლოში, სოფ. რუისში იმის ნიჭის პატივის-მცემელთა, ნაცნობთა და მეგობართა პანაშვიდი გადაუხდიათ მის სახელის მოსახსენებლად. მდაბიო ხალხი ბლომად დასწრებია. პანაშვიდის შემდეგ რუისის მღვდელმა მამა იოანე ინაშვილმა წარმოსთქვა თურმე საგულისხმიერო სიტყვა განსვენებულის იოსების მოღვაწეობასა და სამშობლო ქვეყნის ღრმა სიყვარულის თაობაზედ.

⁂ ამ სამწუხარო ამბავთან ერთი ფრიად სამხიარულო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველს: მხატვარის ზიჩისაგან დახატული სურათები ვეფხვის ტყაოსნისა უკვე დაუბეჭდიათ ლეიპციგში. ამ სურათებიდგან, რომელიც სულ 26-მდეა, ოთხი კიდეც მოსულა ტფილისში, სრულიად დამზადებული და დაბეჭდილი. აპრილში თვით ვეფხვის ტყაოსნის ბეჭდვასაც შეუდგებიან და მაისში უკვე მზად იქნება. ვარაყიანი ყდა წიგნისა, როგორც უნდა იცოდნენ მკითხველებმა, დიდი ხანია მზა იყო; მზა იყო აგრეთვე სხვა ყოველივე: თუ სათაური ასოები, თუ ქაღალდი, თუ სხვა წვრილი ნახატები ფურცლებში ჩასართველად და სხვანი. სურათებიანი ვეფხვის ტყაოსანი სულ 600 ცალი დაიბეჭდებაო და ყდით ეღირება 12-15 მანათიო.

⁂ დღეს, 22 მარტს, ტფილისის კლუბში დანიშნულია სასულიერო კონცერტი საქართველოს ეგზარხოსის ხოროსი მამა აუშევის ლოტბარობით. კონცერტი იმართება ტფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ. ვინც იცის მათი სიღარიბე რასაკვირველია, მადლობას ეტყვის ამ კეთილის საქმის მეთაოსნეს, სემინარიის დღევანდელს რექტორს და ერთსა და ორს მანათს არ დაიშურებს გაჭირვებულ ღარიბ მოსწავლე ახალგაზდობისათვის.

⁂ სახელმწიფო ქონებათა გამგეობის მინდობილობით ბ-ნი ილია ბახტაძე სწერს ამ ჟამად საკმაოდ ვრცელს თხზულებას „ხარჯი და სახელმწიფო გადასახადი ძველად საქართველოში და შემდეგ რუსეთის მფლობელობის დროს“. ეს თხზულება მალე იქნება მზად და ცალკე წიგნად დაიბეჭდება რუსულად. ავტორივე აპირობს შემდეგ ქართულადაც სთარგმნოს თავისი ნაწერი.

⁂ ოთხშაბათს, 23 მარტს ტფილისის საქალაქო საბჭო მოსმენს გამგეობის მოხსენებას იმის თაობაზედ—თუ როგორ უნდა ისარგებლოს ქალაქმა წყლის გამყვანის მილებითა.

⁂ იგივე გაზეთი გვაუწყებს, რომ ტფილისის გუბერნატორი გროსმანი, რომელიც ახლა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად არის დანიშნული, წავა ქუთაისში აპრილის დამდეგსაო. გუბერნატორის კანცელარიის მოხელენი და სატუსაღო კომიტეტი აპირობენ გუბერნატორს ალბომი მიართვანო.

⁂ «Бирж. Вѣд.»-ი გვაუწყებს, რომ 17 მარტს მინისტრთა კომიტეტის მიერ უნდა განხილულიყო სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს პროექტი ნავთის გამყვანის მილის გაკეთების გამო შავის ზღვიდამ კასპის ზღვამდეო.

⁂ „Моск. Вѣд.“-ი სწერს, რომ ყვირილის სადგურიდამ რგანამდი, სადაც აბაშიძის მამულია, რკინის გზის ტოტი უნდა გაკეთდესო. ამ რკინის გზას აკეთებს ერთი კერძო საზოგადოება, რომელსაც უნდა შეიმუშაოს შავის-ქვის მადნებიო.

საუკუნოდ ვეთხოვები იოსებ დავითაშვილს.

დღეს მკვდარი ხარ და მკვდარს გეთხოვები, ჩემო მოძმევ, მაგრამ საუკუნოდ ცოცხალი წარმოდგენილი იქნები ჩემთა თვალთა-წინაშე. ვინც შენ გიცნობდა, მალე ვერ დაივიწყებს შენს მწუხარებით სავსე და ტანჯულს სახეს, რომელიც ნამდვილი გამომხატველი იყო ერის ნაღვლით წარბ-შეკრულის სახისა. თუნდა თვალმაც რომ დაგვივიწყოს, გული ვერ დაგვივიწყებს. შენგან თქმული ყოველთვის მოაგონებს შენს თავს. მე ღრმად ჩამრჩა გულში ხატი შენის სახისა და იქიდამ აგრე ადვილად ვერა ამოჰხოცავს-რა მის მეტყველებას. ასე ტანჯვად და ნაღვლიანად მეტყველებდა შენი სახე, მაგრამ გული კი დაწმენდილი გქონდა, თავისუფალი იყო შურისა და მტრობისაგან. განა სახის მეტყველება ერისაც ასეთი არ არის და გულიც ასევე დაწმენდილი არა აქვს და ასესე დაწყნარებული?! განა ესე არ არის ზღვაცა, რომლის ზედა-პირი ღელავს და ძირში-კი დაწყნარებულია და დაწმენდილი?!

შენ მოგვევლინე, უზაკველო, ერის სახითა: მოხველ ნაღვლიანი და სევდიანი და თან მოგვიტანე ლექსნი მშვიდობისა, სიყვარულისა და სათნოებისა, რომელნიც თვით ერმა გამოგატანა. მოხველ და მწყობრისა და ამოდ სასმენის ხმით გვიამბე მისი დარდი და მხიარულება. ერმა შენ ამოგირჩია თავის ნათლულად! დიაღ, შენს ლექსებში გვესმის ჩივილი და მწუხარება ჩვენის მდაბიო ხალხისა, ვხედავთ, რომ შენ იმის მეოხად მოხვედი ღვთისა და კაცის წინაშე. ვინ იცის, იქნება ბევრი რამ, რაც გაწუხებდა და გქონდა სათქმელად,

დაჰმარხე გულში, წარიღე
და ვერ გამოსთქვა ენამა?!
ან იქნება
დაზგაზე რანდით ლამობდი
მრუნდე ხის გასწორებასა!?

და ამის ჯავრი და ნაღველი გაიყოლიე თან!?

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი უთვისტომო, ობოლო და სიღარიბით წამებულო იოსებ! მიგიღო და შეგითვისა ისევ იმ მშობელმა მიწამ, რომელიც ისე ძრიელ გიყვარდა. დღეს შენს ხსენებაზედ შენთა მშობელთა წილ ცრემლს აფრქვევენ შენი უკეთესნი მეგობარნი და მოყვასნი, დიდნი და პატარანი, თვით ის ქაღალდისა და წიგნის კაცნიცა, რომელნიც ისე გიყვარდა სიცოცხლეში, რომელთა ნათელს აზრებსა და ცხოველს ფიქრებს ისეთის თავგანწირულებით ავრცელებდი ტოლსა და ამხანაგებში, მუშათა და ხელოსანთა შორის, დაბად და სოფლად და ყველგან საქართველოში. ეს ცრემლი ჰრწყავს იმ დაუჭკნობელს ვარდს, რომელსაც უკვდავებას ეძახიან და რომელიც შენისთანა კაცის

ფელეტონი

დავითაშვილის გარდაცვალების გამო.

> ნეტავი ძმათა მრავალთა,
> შინ გვრგინ შაუხდებაო.
> (ხალხ. ლექსი)

სიცოცხლეს ბევრი სიმწარე სჭირს მაგრამ ამ სიმწარეში სიტკბოც ურევია. ეს სიტკბო იმედია.

რისა? ვინ მოსთვლის; ვისაც რა უძგერებს გულსა. სიკვდილის სიმწარეა უსაზღვრო, რომ იმედი შემწყდარა, გული აღარ სძგერს, სიცოცხლე აოხრებულა. ამას აგრძნობინებს კაცს მახლობელის სიკვდილი. გუშინ ჰხედავდით ცოცხალს, მოსაქმეს, მოაზრეს, მუშა კაცს და ჩვეულებრივად უყურებდით, როგორც თვალს მოჰკრავთ ხოლმე გზაზე მიმავალი გვერდზე ნაგდებ ტყე-ღრეს, ბალახს, ლოდს, მიმფრინავ სულდგმულს. დღეს გადაბრუნდა კაცი და მხოლოდ ამ დროს თითქოს იღვიძებთ და გინდათ თვალწინ წარმოიდგინოთ ნახული ადამიანი, მოიგონოთ მისი სიტყვა, აზრი, ლაპარაკი, საქციელი.

სხვა-და-სხვა გრძნობა და აზრი ერთი-ერთმანერთზე აქოთდება, გულში დაძირული ნახულ-ნაგრძნობი მაღლა ამოტივტივდება და ტანში შეგბერტყავს გამოსაფხიზლებლად.

მაგრამ სიკვდილიც არის და სიკვდილიც... სიკვდილი არარაობისა და სიკვდილი რაობისა.

ეს „რაობის“ სიკვდილია, რომ გამოგაღვიძებს.

რა იყო, ან ვინ იყო ეს დავითაშვილი? ვიცოდით, ვიცნობდით, გაგვეგო რამე? მაგდენად არაფერი. ერთი, მდაბიო გლეხი, ხელოსანი, ჩუქურთმის მჭრელი, რომელიც ვაი-ვაგლახით აჩანჩალებდა ამ წუთი-სოფლის ცხოვრებასა; რამდენიმე ლექსი დაბეჭდა. სხვა არაფერი ვიცოდით.

თურმე სხვა რამ ყოფილა. ასამდე კაცი უეცრად ორიოდე დღეში გაზეთში აცხადებს მადლიან მწუხარებასა თავის და ქვეყნის „მზრუნველის“ დაკარგვაზე.

თურმე „მზრუნველი“ ყოფილა მოძმეთა და ჩვენის ქვეყნისა.

ნუ თუ კურთხეულ უნდა იყო სიკვდილო, რომ ხან-დის-ხან შენი შემწეობა ყოფილა საჭირო, საქვეყნოდ გამოაჩინო უმადლო ადამიანის შესაგონებლად მშვიდი, წყნარი, თავ-დადუნული, გაჭირვებული და მხოლოდ ერთად ერთის სათნოებით შემოსილი სიცოცხლე! კურთხეულმც იყავ მშვიდო სათნოებავ და მადლიანო სიცოცხლევ! მაგრამ ვაი რომ სიკვდილი გამოგაჩენს ხოლმე!

ნუ დავიძრახებით ამ სიტყვაზე, ახალ საფლავთან თუ ცრემლის სიმწარეს ერევა მადლის და მადლობის ცრემლი; მწუხარების ცრემლი ნათესაობისაა, ნელდება ხოლმე და მადლისა კი არასოდეს; ამიტომ რომ იგი ბევრისაა, საერთოა, ქვეყნისაა.

ან კი მოითხოვს რამე ჩვენს ცრემლსა? ან ითხოვენ ჩვენგან ისეთნი მუშაკნი მზრუნველნი, რომლის მსგავსნი ჩვენდა საბედნიეროდ ყოფილან, თურმე არიან და უეჭველად კვლავაც იქნებიან ჩვენს ქალაქებში და სოფლებში?

არა, ისინი მადლობასაც არ ითხოვენ არავისგან. მაგრამ ჩვენ კი უნდა გაგვიღვიძოს ამ გვარ კაცთა სიკვდილმაც და სიცოცხლემაც ის ცხოველ მყოფელი აზრი, რომ მათ ეპირება ძმობა, ძმური თანაშემწეობა, უნდა შეგვეძლოს მათი გარჩევა, შეგვეძლოს მათი პოვნა, შორიდამ თუ ახლოდამ ხმის გაცემა, შორიდამ თუ ახლოდამ ნუგეშის ცემა და გამხნევება გაჭირვებაში.

თვალ-წინ მეხატება მთელი გრძელი ქარვანი ამ მუშაკთა, ქვეყნის მზრუნველთა. ამ ახლო ხანებში ერთი მოთხრობა კიდეც წავიკითხეთ „ივერიაში“ „მევლე“. დაგვეხატა წინ ღარიბი, უსარჩო, წელში მოხრილი გლეხი სოფლისთვის თავ-გამოდებული და თავ-დადებული კაცი, ყანა-მინდორი გადავარჩინო, სოფელს შეუნახო წახდენისა და ქურდობისაგანაო; თავ-გამოდებულია ძმობის გრძნობა ჩააგონოს სოფლის ხალხსა. მაგრამ არ ესმით მისი გულის ვაება და როდესაც ამ ვაების ცხოვრებაში კვდება, მხოლოდ მაშინ დამარხვის დროს სოფელი იღვიძებს და აკვირდება მისს კაცობასა.

ეს ხომ მწერლობიდამ მოვიტანეთ მაგალითი. ახლა სოფელში სადმე გავლის დროს დააკვირდით ყოფა-ცხოვრებასა და რას ჰხედავთ?

აი ათი-თორმეტი წელიწადია ამ სოფელში ეს გლეხი კაცი სწავლის საჭიროებას აუყოლებია, სკოლის გამართვას უქადაგებს ხალხსა. მაგრამ ვის ესმის? წელიწადები გადის. თვითონ ღარიბი, თავის საკუთარს საქმეს დროს უჭრის, ჯდება, გარს ისხავს ყმაწვილებს და ასწავლის. აქ სოფლის დიდს გავლენიანს კაცებს ევედრება, იქ გაზეთში ჩივილის ამბავს გზავნის, საცა კი ხმა და ხელი მიუწვდება, ეღაღადება. ჯავრი და ბოღმა გულს არ უმშვიდებს და სჭამს მთელს მის არსებასა.

აი კიდევ საცა-ღა მივარდნილს აჭარის ანუ ხევსურეთის მთებში შეემთხვა სოფელს ერთი რამ დიდი უბედურება, გამოდის ხალხის მწუხარებით დაწყლულებული მოლექსე და ხმას ამაღლებს: გაიგეთ და გააგებინეთ სხვებს ჩვენი „ტირილიო“.

აგერ ვილაცა უწმინდურს შეუბილწავს თემის წმინდა ადგილი, მამა-პაპათ სალოცავი და მოსახსენებელი; ამტყდარან თემის კაცნი, „რისხვასა გვანან ხვთისასა“. და აგერ თვისის საყვარელ თემის კაცისთვის ჩაუბარებიათ ამ საქმის მოვლა და აი ის მოდის და მოსძახის: „სოფელს ვაჭმიო სახელი, გული გავხეთქო მტრისაო“, სდევნის ბოროტებას მართლ-მსაჯულების კარამდე.

რომელი ერთი მოვთვალოთ. ერთის სიტყვით, მიიხედ-მოიხედავთ და ნახავთ რომ, როგორც ამ დღეებში მშვენივრად ითქვა დავითაშვილზე:

დაზგაზედ რანდით ლამობდი
მრუდე ხის გასწორებასა.

ყველას თითო დაზგა ჰქონია და მრუდის გასწორების ზრუნვა ჩაჰნათებია გულსა.

ცხოვრების სიმწარე ძალას ჰკარგავს, როდესაც ამისთანა მადლს ჰხედავ ხალხში, ჩვენს გლეხობაში; იმედი წარმატებისა მკვიდრდება და მტკიცდება. და ათასჯერ ემთხვევა იმ მიწა-წყალს, რომელსაც ამისთანა მომცემი ძალა შერჩენია.

მაგრამ ამ სანატრელ გრძნობას მეორე გრძნობა ერთობა. ის, რომ ეს თემის და სოფლის მზრუნველნი რა ძნელს დღეში უნდა იყვნენ; რამ სიდიდე უმეცრება, გაუგებრობა, ზნეობის სიმრუდე, სიხარბე, სხვის დაუზოგველობა გარს შემოხვევია გულმართალს და სხვებისთვის მზრუნველ კაცსა? თვითონ ცხოვრებაში ხელ-მოკლენი, სწავლა მოკლებულნი, თანაგრძნობას და გამხნევების ხმას მოკლებულნი, რამდენს ტანჯვას, რამდენს სიმძიმეს, რამდენს სიძნელეს უნდა ითმენდნენ და უძლებდნენ. თუნდა ავიღოთ თვითონ ზრუნვა სხვისათვის. რა ძნელი ტვირთია? შემთხვევით, ბედით კეთილის ქმნა, ხომ ალალ-ბედათ მოსული საქმეა. შემთხვევით ნამოქმედარს კეთილის ზრუნვის სახელი არა აქვს. ზრუნვა სხვაა, ვნებაა, უძლიერესი გულის თქმაა, რომელსაც დღე-და-ღამ, ცხადად და თვით ძილშიაც შეუპყრია ადამიანის მთელი არსება. კაცი დიდის სულის პატრონი უნდა იყოს, რომ გული ამ ზრუნვისათვის უთქმიდეს და ნამეტნავად, როდესაც თავის ნებით კისრულობს.

ყველა ამას რომ დაუკვირდებით, წარმოგიდგებათ მზრუნველის კაცის გულის მადლიანობა, ამ მადლიანობის ძლიერება, ამიტომ რომ ის თავის გამამხნევებელს ძალას მხოლოდ თვისსავე მადლიანს გულში უნდა ჰპოვებდეს.

რამდენი სულის ტანჯვა უნდა გამოიაროს დავითაშვილისთანა კაცმა ცხოვრებაში, სხვებისთვის, ქვეყნისთვის ზრუნვაში. რა მადლი უნდა უტრიალებდეს გულში, რომ ეს ტანჯვა დასძლიოს, იქნება თვითონ კი დაიწვას, მაგრამ სხვებს გზა გაუნათოს.

კურთხევას შეუთვლის მართლა ამისთანა კაცს, დიდია თუ პატარა. კურთხეულ ხარ შენც განსვენებულო იოსებ. მხოლოდ ერთი რამ გვაწუხებს, რომ ვინ იცის

დამარხე, გულში წაიღე,
რაც ვერ გამოსთქვა ენამა.

მაგრამ იმედი გამაცხოველებელი არ გაუქმდება. მაგალითს მაგალითი შეუდგება და ერის სიტყვა გამართლდება.

გამოვლენ ახალგაზდანი,
ანგელოზნია ცისაო;

მადლი ტრიალებს ღვთისაო,

ვ. ჭ.

ხედრია. თვალი იყავ ხალხისა და ჩვენის ქვეყნის თვალმაც მიგიღო უკანასკნელს ჟამს, ტურფა კახეთმა აგიგო საუკუნო ბინა და მშვენიერმა თელავმა შეგიფრდომა და განგასვენა ტანჯვათაგან, ტანჯულო და წამებულო!

შეიწყნარე ჩემი ცრემლიცა და კურთხეულ იქმენ კურთხეულთა შორის!

გრ. ყიფშიძე

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ლანჩხუთი, 14 მარტს. აქაურ რკინის გზის სადგურში დღეს მე შემთხვევით ველაპარაკებოდი რვა გლეხკაცს შორაპნის მაზრისას. ესენი იყვნენ სოფელ მურწყევითისა, სკინდორასა და თვალუეთს მცხოვრებნი პერევისის სასოფლო საზოგადოებიდამ. ჩემი ყურადღება უნებურად მიიზიდა ამ ხალხმა. მათის სახის გამომეტყველება ცხადად ამტკიცებდა, რომ ღრმა მწუხარება უნდა ჰქონოდათ ამ საცოდავებს გამოვლილი. დაფლეთილი ტანისამოსი და ფეხსაცმელები ამტკიცებდა იმათ უკიდურესსა და მეტის-მეტს სიღარიბეს.

აი რა საინტერესო და თან სამწუხარო ამბავი მითხრეს: „შემოდგომის აქედ ჩვენს სოფლებში დადის ერთი საკუწელი გლეხი მაქსიმე მოდებაძე, რომელიც ეუბნება ხალხს, რომ თუ გინდათ ამისთანა უკიდურესს სიღატაკეს ასცილდეთ, გაიგონეთ ჩემი, გადასახლდით ქობულეთში, სადაც ადგილებს ხაზინა უფასოდ იძლევა და სადაც ისე მდიდარია ბუნება, რომ ბევრად ნაკლები შრომა დაგჭირდებათ და ათჯერ უფრო კარგად იცხოვრებთო. რადგან ამ ბოლოს დროს აღარაფერი შრომა და მეცადინეობა აღარასა გვშველის და ჩავცვივდით სიღატაკეში, მოდებაძეს ბევრი მიემხრო. ჩვენ მიწის გულისთვის ყველგან წაველთ; ოღონდ-კი მიწა გაგვიხსენეთ და ველარა დაგვიჭერს-რა. სამას კომლამდე ხალხმა გადასწყვიტა, რომ გადავსახლდებით ქობულეთშიო. რაღა გვქონდა ან კი სახლში: აღარც სახნავ-სათესი შეგვრჩა, აღარც საბალახე გვაქვს, არც შეშა და არც სხვა რამე. წელს ზამთარში აუარებელი პირუტყვი დაგვეხოცა საკვების უქონლობის გამო. ბევრს იმისთანა წვრილშვილს გლეხს ჰნახავთ ჩვენკენ, რომ მჭადი არა აქვს საჭმელადა“.

დასაფიქრებელია ამ გვარი მდგომარეობა და დაფიქრებულან კიდეცა საწყალი გლეხები: აურჩევიათ რვა კეთილ-სინიდისიერი გლეხი და გაუყოლებიათ მოდებაძისათვის ქობულეთში ადგილების დასახედავადა და პირობების გასაგებად. ესენი ჩასულან ქობულეთში, მისულან ვიღაც უფროს კაცთან, რომელსაც უთქვამს, რომ აქ რაც კარგი ადგილებია, დაჭერილია და მთა ადგილები თუ გინდათ, თქვენი ნება არისო. ამორჩეულს კაცებს დაუვლიათ ციხის ძირის მიდამო ადგილები, მაგრამ სრულიად არ მოსწონებიათ. ამისთანა წითელი მიწა ჩვენშიაც გვძულს, სადაც კი არისო, უთქვამთ საწყლებს.

ამ გვარად მოტყუებულებს შევხვდი მე დღეს, სახლისკენ მიმავალთ. სწუხდნენ, რომ ამ გაზაფხულისთვის გადასახლების იმედი გვქონდა და ამისთვის ჯერ არაფერ სამუშაოსათვის ხელი არ [illegible] და ახლა რაღა პირით უნდა მიუვიდეთ ჩვენებურებსაო.

რით ვანუგეშებდით ჩვენ საცოდავებს?

ვურჩიეთ მიჰმართონ მთავრობას და სთხოვონ, რომ ცარიელი და ნაყოფიერი ადგილები მოუპოვოს სადმე შავის ზღვის პირს. სასურველი-კია, რომ მთავრობამ ჩრდილო-კავკასიისაკენ არ გადაასახლოს, როგორც გადაასახლეს ამ ექვსის წლის წინად ჩერქეზეთში ლეჩხუმელნი. იმედია, მთავრობა მიაქცევს ყურადღებას ამათ გაჭირებულს მდგომარეობას და ითავებს ამ გადასახლების საქმეს.

ამ ორის თვის წინად გაზ. „Кавказъ“-ი გვარწმუნებდა, რომ იმერეთისათვის გადასახლება სრულიად საჭირო არ არისო. ბ-ნი ავტორი მიბძანდეს პერევისის საზოგადოებაში, გამოიკვლიოს მიუდგომელის თვალით მისი მდგომარეობა და მერე განსაჯოს, თუ-კი შეუძლია მიუდგომელად სჯა, ტყუილს ამბობდა ბ-ნი მიქელაძე ამ საგნის გამო, თუ მართალსა?

ილ. ჭიჭინაძე

უბედური სანახავი

გუშინ ნაშუადღევის სამ საათზედ ალექსანდრეს ბაღში ჩავიარე, კორპუსნი საყდრის პირ-და-პირ და დავინახე, რომ ერთს „სკამს“ ბლომად ხალხი შემოხვევოდა. მაშინვე გავეშურე იქითკენ და მივედი თუ არა ახლოს, საშინელი კვნესის ხმა მომესმა.

— რა ამბავია-მეთქი?—ვიკითხე.

— «ერთი უპატრონო, საწყალი ავად-მყოფიაო».

— რა დაჰმართვია?

— „კვდება“.

— რითი?

— „არ ვიცით“.

მე მაშინვე გავარღვიე ხალხი, მივედი ახლო და აი რა წარმომიდგა თვალწინ: სკამზე მიშვებულიყო დაგლეჯილ ახალუხა 17—18 წლის გლეხი, მწარედ და უმოწყალოდ გმინავდა და კამარად ცრემლები სდიოდა.

— შეგიძლიან ლაპარაკი თუ არა-მეთქი, ვკითხე საბრალოს.

— „ცოტათიო“.

— რითი ხარ, ძმობილო, ავად?

— «გული მტკივა, გული», წაილუღლუღა ავად-მყოფმა.

— რა გქვიან, ან საიდგანა ხარ?

— „ისაკა მქვიან, ხეჩატუროვი, დაღეთელი ვარ“. (სოფ. დაღეთი ტფილისის მაზრაშია.)

— ვისთან იყავი აქ?

— „არავისთან, საქმე მინდოდა მეშოვნა, მაგრამ ვერ ველირსე.

— დიდი ხანია აქა ხარ?

— „ერთი თვეა.“

— მაშ სად იყავი, ან სადა გქონდა ბინა?

— „გარედ, ქუჩაში ვატარებდი დღე-ღამეს, სახლში უფულოდ არავინ შემიშო.

— ეხლა პური ხომ არა გშიან?

— „არა“.

— რამდენი ხანია რაც უსმელ-უჭმელადა ხარ?

— „სამი დღეა“.

— ექიმთან არავისთან ჰყოფილხარ?

— „მითხრეს პოლიციაში მიდიო, „ჰოსპიტალში“ წაგიყვანენო. მივედი აველაბრის პოლიციაში, ერთი დღე ვეგდე, მაგრამ არ წამიყვანეს.“

ხალხი თან-და-თან გროვდებოდა და აქა-იქიდგან იძახოდნენ:

— დაუძახეთ პოლიციელს, წაიყვანეთ სამკურნალოში! როგორ შეიძლება ასე ყოვლად უპატრონოდ ადამიანის სიკვდილიო!

დაუძახეს პოლიციელს, ავად-მყოფი ჩასვეს ფაეტონში და სამკურნალოში წაიყვანეს. ბევრისაგან გვესმოდა აქ ასეთი ლაპარაკი: „ნუ თუ არ შეუძლიან ქალაქსა ერთი თავ-შესაფარი სახლი იქონიოს გაჭირებულთათვისა? თუ სრულიად უფასოდ არა, მცირედის ფასით მაინცა?

მართლაც და კარგი იქნებოდა; ყველა დიდ ქალაქებში არის ამისთანა სახლები და ნუ თუ ჩვენი ქალაქი კი ვერ მოახერხებს, რომ ამისთანა თავ-შესაფარი გაემართა?

ს. მ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბალკანის ნახევარ-კუნძულზე ახალმა საქმემ იჩინა თავი. მართალი რომ ვსთქვათ, ეს საქმე სრულიად ახალიც არ არის, უცხო ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში შარშანვე დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ მერე როგორღაც მიჩუმდნენ. დღეს ეს საქმე ისევ ფეხზედ წამოაყენეს. საქმე იმაშია, რომ მაკედონელებიც უნდათ აშანშლონ და ბოლგარებთან ერთად აამოქმედონ.

დღეს ამ საქმეზე ცნობებს ვპოულობთ თვით გაზეთ «Правительственный Вѣстникъ»-შიაც.

> მაკედონიაში რაღაც მოძრაობაა,—იწერება ამ გაზეთის კორრესპონდენტი: მთელი მხარე მოფენილია ხალხით, რომელიც ქადაგებს, რომ მაკედონია ოსმალეთს უნდა გადუდგეს და ბოლგარიას მიემხროსო. ამ აზრს ავრცელებენ და ქადაგობენ არამც თუ მარტო ბოლგარები, არამედ სხვა ერების წარმომადგენლებიც.

რა განზრახვა აქვთ ამ საქმის მოთავეთ? ნუ თუ ისა, რომ მაკედონია ოსმალეთს წაართონ და ბოლგარიას მიუჩრან? არა, ამას თვით მაკედონელები არ მოიწადინებენ: „თხა გავყიდე, თხა ვიყიდე, სარგებელი რა ვნახეო“,—ეს ცოტად იმას ეგვანება. ამას არცა ჰფიქრობენ თურმე.

> განზრახვა სულ სხვა აქვთო,—ამბობს იგივე კორრესპონდენტი. ეს საქმე ლონდონში და ვენაშია დაწყობილი და დალაგებულიო. იქიდგან უმართავენ და უწყობენ ხელს საქმესა. რა ჰსურთ, რა უდევთ ამათ გულში? ისა, რომ მაკედონიაში არეულობა მოახდინონ, ბოლგარები უფრო დაიმედონ, „აღმოსავლეთის საქმე“ სრულიად აშანშლონ და ისე წაიყვანონ საქმე, რომ ბალკანიის ნახევარკუნძულის სლავიანები და რუმინები ერთად შეაერთონ და მთელს ნახევარ-კუნძულზე ერთი შეერთებული, ფედერატიული სახელმწიფო შეადგინონ. ამბობენ, გითომ ბერლინშიაც ხელს უმართავენ და ჰშველიან, რომ ეს აზრი სისრულეში მოიყვანონო!...

⁂

ექიმების საყურადღებოდ! გაზეთი „С.-Петерб. Вѣд.“-ი ერთს ამბავს მოგვითხრობს, რომელიც ვგონებთ, ცოტად ჩვენს ექიმებსაც დააფიქრებს.

პეტერბურგის ექიმთან მისულა ერთი მდიდარი ქალი სამკურნალოდ. ქალი გასათხოვარი ყოფილა და თუმცა კარგა ხანშიაცა ყოფილა შესული, მაგრამ თავს მაინც იახალგაზდავებდა თურმე. ქალს, სწორედ რომ ვსთქვათ, დიდი სნეულება არა ჰქონია-რა, მაგრამ მაინც ძარღვების სისუსტეს, თავისა და გულის ტკივილს უჩივოდა; და აი ექიმთან, ვგონებთ, უფრო გულის გასამართლებლად წავიდა. ექიმმა ერთგულად მოჰკიდა ხელი ქალის მკურნალობას, რადგან ქალი კარგს, მსუქან სასყიდელს იძლეოდა. გაიარა ასე რამდენმამე თვემ. ავად-მყოფს მოსწყინდა ამდენი სიარული ექიმთან. ექიმმა შეატყო ეს ქალსა და არაფრად ეჭაშნიკა, რომ ასეთი ავად-მყოფი ხელიდგან ეცლებოდა. და აი რა ხერხიანად მოიქცა:

> ქალბატონო, ჩემის მეცადინეობით თქვენ თუმცა ეხლა აღარა გიჭირთ-რა, კარგადა ხართ, მაგრამ მაინც ურიგო არ იქნებოდა, რომ ცოტა ხანს კიდევ წაჰსულიყავით სადმე და თავი გეწამლათ.
>
> — თუ ეს საჭიროა ჩემის ჯანის სიმრთელისათვის, რატომ, წავალ, მხოლოდ სად მირჩევთ წასვლას?
>
> —ამა-და-ამ ადგილას ერთი-ორი თვე ირჩინეთ თავი. მე იქ ერთი კარგი ნაცნობი ექიმი მყავს და იმასთან წერილს მიგიწერთ.

ქალმა, რასაკვირველია, მადლობა გადაუხადა გულ-შემატკივარს, ზრდილობიანს ექიმსა, კარგი სასყიდელიც მიართვა, გამოართო წერილი და გამოეთხოვა; მაგრამ წასვლა კი ვეღარ მოუხდა. ბევრმა ურჩია, რომ საიმისო არა გიჭირს რაო და ეხლა სადღაც შორს წასვლა სრულიად მეტია. ქალიც დარჩა და მაშასადამე ექიმის წერილიც საჭირო აღარ იყო. ქალი როგორღაც ცნობის-მოყვარეობამ გაიტყუა და სთქვა თავის გულში: მოდი ერთი გავხსნი და წავიკითხავ, რა სწერია ამ წერილშიო. გახსნა და აი რა წაიკითხა:

> გიგზავნი ერთს მდიდარს და ცოტა ჭკუაზე შემომწყრალს დამჟავებულ ბერქალას,—სწერდა ექიმი თავის თანამოძმეს. თუმცა ნახევარ წელიწადი გარჩინე და ფულიც კარგა ბლომად გამოვტყუე, მაგრამ ამას ისე არა სტკივა-რა, როგორც მე. გირჩევ, შენც კარგად გამოუთხელო მანდ ამას ჯიბე.

ჩვენი რჩევა ქალებს: გულის ტკივილის სამკურნალოდ ნუ მიჰმართავთ ასეთს მატყუარს და უზდელს, უსირცხვილო ექიმებსა!...

უცხოეთი

ბოლგარია. სამზღვარ-გარეთის გაზეთების სიტყვით, როდოსლავოვი ბოლგარიაში დამოგზაურობს და ხალხში ჰქადაგობს, რომ ჩრდილოეთ-ბოლგარია და სამხრეთ-ბოლგარია შევაერთოთო. ეტყობა სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას განუზრახავს ბოლგარია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადოს. ამასთან ხალხში უფრო-და-უფრო ხშირად ისმის პრინცის ალექსანდრე ბატტენბერგის სახელი.

— ვენიდგან დეპეშით აუწყებენ „Journal des Debatъ“-ს, რომ სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას ბრძანება გამოუცია და აუკრძალავს, რომ ბოლგარიიდგან არ შეეძლოთ წასვლა იმ მკვიდრთა, რომელნიც წლოვანობით 18-დგან 40 წლამდე იქნებიანო.

— ფილიპოპოლიდგან დეპეშით აუწყებენ „რეიტერის სააგენტოს“, რომ ბ-ნმ სტოილოვმა სტამბოლიდგან სოფიაში დაბრუნების დროს ფილიპოპოლზე გამოიარა. რკინის გზის სადგურზედ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და დაუმატა, რომ ჩვენ ოსმალეთისაგან ფიქრი არა გვაქვს, თუ შემწეობას არ აღმოგვიჩენს ოსმალეთი, მტრობას არას გაგვიწევსო.

— სოფიიდგან დეპეშითა სწერენ პარიჟის გაზეთს „Matin“-ს, რომ აქ კვლავ გამოჩნდნენ ბატტენბერგის მომხრენი და ხალხში ჰქადაგებენ ბატტენბერგის სასარგებლოდაო. თუმცა ამბობენ, რომ ბატტენბერგი ბოლგარიის საქმეებში სრულიად არ ერევა და თავი დაანება ბოლგარიის მთავრად ყოფნის ფიქრს, მაინც აშკარადა ჰსჩანს, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობაზედ დიდი გავლენა აქვს ბატტენბერგსა. ეხლაც-კი დიდი მიწერ-მოწერაა გამართული სოფიისა და დარმშტადტის შუა. თვით პრინცს ჯერ არ გამოუცხადებია, თუ რა გვარად და რა გზით დაიწყობს მოქმედებასაო. ამ გამოუცხადებლობის მიზეზი ის არის, რომ პრინცი ალექსანდრე ამ ჟამად ავადმყოფობს და გუნებიანად ვერ მოუკიდნია ხელი ბოლგარიის საქმისათვისაო. მთავრობის წევრნი იმ აზრისანი არიან, თუ ჩვენს არჩევანს არ შეიწყნარებენ, ის სიკეთე მაინც მოჰყვება, რომ ეს გარემოება ევროპას დააფაცურებს, აჩქარდებიან და დაასახელებენ ამ სამთავრო ტახტისათვის კანდიდატსაო. ამასობაში ბოლგარია დიდს სამზადისშია; ყოველსავე ღონის-ძიებასა ჰხმარობს სარეგენტო მთავრობა, რომ ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგეთა ყოველსავე განზრახვას. სარეგენტო მთავრობას, მაგალითებრ, გამოუცხადებია ოსმალეთისათვის, რომ ნაბოკოვი და კისინსკი ბალკანიის ნახევარ-კუნძულიდგან განვსდევნოთ, რადგან რუმელიაში აჯანყების ატეხა მოუწადინიათო.

ოსმალეთი. ლონდონიდგან რუსთემ-ფაშა აუწყებს თავის მთავრობას სტამბოლში: ინგლისის სადიპლომატიო წრეებში სრული იმედი დაჰკარგეს, რომ რუსეთი როგორმე ჩაეტყუებინათ ევროპიის საერთო ბრძოლაში და ეხლა შიშობენ, კაი თუ რუსეთმა სრული თავისი ყურადღება აზიის საქმეებს მიაქციოსო.

— სულთანი ძალიან აღელვებულა იმ ამბის გაგონებით, რომ გერმანია, ავსტრია-ვენგრია და იტალია შეკავშირებულან და დაახლოვებიან ერთმანერთსაო, მით უფრო, რომ გაზეთებმა ხმა გაავრცელეს-კითომ ტრიპოლისი იტალიას უნდა დაეთმოს და შეუერთდესო. სულთანმა ამას წინად გერმანიისაგან 20,000,000 მანათის მაუზერის თოფი იყიდა, თუმცა ოსმალეთის ჯარისათვის ეს თოფი სრულიად გამოუყენებელია და ამით უფრო ეგონა, რომ გერმანიის მეგობრობა მოვიპოვე და დავიახლოვეო. ეს იყო მიზეზი, რომ თუმცა ინგლისის ელჩმა ბევრი სთხოვა სულთანს, ინგლისის გემებს ნება მიეცი პატარა აზიის ნაპირებთან ზღვის სიღრმე გაჰზომონ, სულთანმა უარი უთხრაო. ესევე იყო მიზეზი, რომ მაიორი ტროტტერი ოსმალეთის უჩუმრად შეუდგა ამ საქმესაო.

— სტამბოლიდგან დეპეშით აუწყებენ გაზეთ. „Matin“-ს: აქ გაავრცელეს ხმა, რომ მინისტრებსა და ქამილ-ფაშას შორის რაღაცა უთანხმოება ჩამოვარდა იმის გამო, თუ რა პოლიტიკას უნდა მისდევდეს ოსმალეთი რუსეთის მიმართო. მაკედონიაში ახალს ჯარსა ჰკრებენ და ამ ჯარში სულ 50,000 კაცი უნდა იყოსო.

რუმინია. კოროლ კარლს რუმინიისას ბერლინთან მოლაპარაკება ჰქონდა ამას წინად იმის გამო, რომ რაც უნდა მოხდეს, მაინც-და-მაინც არც ერთს სახელმწიფოს ნება არ უნდა ჰქონდეს რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინიის დამოუკიდებლობას ხელი შეახოსო. ამ ჟამად კოროლი კარლი ვენაში მიდის ამავე საგანზედ მოსალაპარაკებლადაო.

— ის ბოლგარები, რომელთაც სილისტრიის აჯანყების გამო რუმინიაში შეაფარეს თავი, მიდიან თურმე რუმინიიდგან. უმეტესი ნაწილი ამ მეამბოხეთა რუსეთში მიდის და მხოლოდ ერთი აპირებს ავსტრიაში წასვლასაო.

* * *

იტალია. გაზეთ. „Standard“-ის რომის კორრესპონდენტი ამბობს, რომ ტყუილია ის გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ გერმანიისა, ავსტრო-ვენგრიის და იტალიის შორის შეკრულის კავშირის პირობები გამოცხადებულია და გამოქვეყნებულიო. ამ სახელმწიფოთა შორის შეკრული პირობა საიდუმლოდ უნდა დარჩეს და არავინ არ უნდა იცოდეს, თუ რა პირობებით არიან ეს სახელმწიფონი შეკავშირებულნიო.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

წერილი მეხამე

II

შემდეგ ბროსსე ლაპარაკობს საქართველოს ისტორიის წყაროებზედ. დაასახელებს გუჯრებს, სიგელებს და მატიანეებს, ჩამოსთვლის ამ უკანასკნელების ავტორებს*). შემდეგ ამბობს, რომ თუ ეს წყაროები საკმაო არ არის საქართველოს ისტორიის შესწავლისა და შეგნებისათვის, უნდა ვიცოდეთ, რომ კიდევ არიან სხვა უფრო უტყუარნი წყარონი. ვინ არ იცის, რომ საქართველოს ისტორია უფრო მკვიდრად არის დაწერილი თავისსავე ნაშთების ქვებზედა. ყველა აქაურნი მონასტერნი, ტაძარნი, სასახლენი, ციხენი და სამარხნი და მათი ზედ-წარწერანი გადმოგვცემენ უწინდელ ლეგენდებს და ამბებსა. როდესაც ევროპას თვალ-წინ წარუდგებიან წარწერანი ქუთაისისა და გელათისა, ხონისა და ატენისა, მაშინ იგი შეიტყობს, რომ ქართველნი არა ყოფილან მოკლებულნი განათლებასა და სცნობს, რომ კიდევ ბევრი სხვა გვარი წყარო მოიპოვება ამ ქვეყანაში იმის ისტორიის აღსადგენად.

თუ შეგროვდა ყველა წყარო საქართველოს ისტორიისა, ყოველ გვარნი ნაწერნი და წარწერანი ქვებსა და ფულებზედ, მაშინ ფრიად ვრცელი ისტორია შესდგება და აღმოჩნდება, რომ ამ ისტორიის პატრონი სამაგალითო ერი ყოფილა აზიის სხვა ერთა შორის.

მაგრამ საქართველოს ისტორიისათვის საჭიროა კიდევ ვიცოდეთ ამ ქვეყნის მეზობლად მცხოვრებ ერის, სახელდობრ, სომეხთ ისტორიაცა. აქ მეცნიერი ლაპარაკობს სომხეთის ისტორიასა და მის წყაროებზედ, განმარტავს ამ წყაროების ხასიათსა და მნიშვნელობას; ამტკიცებს მონათესაობას ქართულ-სომხურ წყაროებისას.

თუ ამ რიგად შეგროვილ წყაროებს დავუმატებთ ცნობებს არაბთა, ოსმალთა და სპარსელთა მატიანეებიდამ და აგრეთვე ბიზანტიის მატიანიდამ, რომელიც უკვე განმარტებულია სტრიტტერისა და ლებოს ისტორიის გამომცემელთაგან, მაშინ ხომ ჩვენ გვექმნება ფრიად ვრცელი პროგრამმა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვისა. მაგრამ შევძლებთ ამასაო?!

შემდეგ ამისა ბროსე განიხილავს იმ ხანას, როცა ქართველთა მეფეთ გაიცნეს რუსეთის მთავრები და მეფენი და დაიწყეს მათთან მიწერ-მოწერა. ბროსე ამტკიცებს, რომ თვით თამარ მეფედგანვე დაიწყო მისვლა-მოსვლა ამ რუსთა და ქართველთ შორისაო. აქ დაწვრილებით მოგვითხრობს თამარ დედოფლის შეუღლების ამბავს რუსეთის მთავრის ძესთან და ამ ქორწინების შედეგს ვრცლად განმარტავს „ქართლის ცხოვრებისავე“ სიტყვით.

შემდეგ მოჰყავს ცნობანი საქართველოს დაცემასა და დაძაბუნების შესახებ და ასახელებს ამ გვარის მოვლენის მიზეზებსაც:

როგორც ყველა ერს, ისე ქართველ ერსაც წინა-პირველად უფროსებად ჰყვანდნენ მამათ-მთავარნი. შემდეგ მთელი ერი დაემორჩილა დიდ პატრიარქებს, ანუ მამასახლისებს. მამასახლისობა ამ ქვეყანაში არსებობდა ქართველთა დასაწყისიდამ, ვიდრე ფარნაოზამდე, რომელმაც მეფობა დააწესა. აქედგან ბაგრატიდებამდე, ერთმა მეორის შემდეგ, იმეფა სამმა შთამომავლობამ. ამ დროს განმავლობაში ერთობა ქვეყნისა მხოლოდ მცირე დროს დაირღვა: ქვეყანა გაიყო ორ სამეფოდ. ერისთავებს თვის საერისთოებში ისეთივე უფლება მიენიჭათ, როგორც მეფეებს. ამ სახით გადავიდა საქართველო ბაგრატიდების ხელში. იმათაც არ დაურღვევიათ წინანდელი წეს-წყობილება დიდ ხანს. პირველ ხანში ბაგრატიდებს კახეთი არ ემორჩილებოდა. აქ უფლობდნენ ქორეპისკოპოსნი. შუა ქართლში იჯდა ბაგრატიონების მოხელე—ერისთავი. მაგრამ ტფილისი-კი მე-VIII საუკუნიდგან ვიდრე დავით აღმაშენებლამდე ეჭირათ ქალიფათა წარმომადგენლებს, ანუ მოადგილეთ.

საქართველოს წარმომადგენელნი ანუ ქვეყნის მმართველნი მტერთა შემოსევისა და შეწუხების გამო ხან-და-ხან ისე სუსტდებოდნენ, რომ სახელ-წოდებას „მეფე“ ჰკარგავდნენ და იწოდებოდნენ მხოლოდ მთავრად ანუ პატრონად. ბაგრატიდებმა ისევ მოიპოვეს წოდება მეფისა ანუ კურაპალატისა. უკანასკნელ კურაპალატად იყო დავითი, კაცი ფრიად ძლიერი და დიდად გავლენიანი, მაგრამ უშვილო. მან აიყვანა შვილობილად აფხაზთა შტოის მეფეთა შთამომავლობის წარმომადგენელი—ბაგრატი და მას, ერის სურვილისამებრ, დაუმორჩილა მთელი კავკასია ზღვიდამ ზღვამდე, გარდა მცირეოდენ ნაწილისა ახალ ციხის მხრისკენ. აქედგან იწყება ბრწყინვალე ხანა საქართველოს ისტორიისა.

ამ ყოფაში ორ საუკუნე ნახევარი გავიდა. მონგოლები შემოესივნენ საქართველოს და აღაოხრეს. საქართველო მათ მიერ ორ სამეფოდ გაიყო დავით სოსლანისა და დავით ნარინის შორის. შემდეგში თუმცა სამეფონი ისევ შეერთდნენ, მაგრამ შუღლი და მტრობა კი არ მოისპო; მეფე ალექსანდრემ კი უფრო უარესი ჰქმნა, საქართველო გაუყო თავის შვილებს. კახეთიც საკუთარ სამეფოდ შეიქმნა. იმერეთი უფრო დასუსტდა მით, რომ ამ სამეფოში დამყარდა სამთავრო სამეგრელოში და ათაბეგობა გურიაში.*)

ყველაზე დიდი ზარალი-კი ქართველთ მეფეებს მისცა შაჰ-აბას I-მა, რომელმაც შეიპყრო და მოჰკლა ქართლის მეფე ლუარსაბ II და კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის შვილები, საჭურის-ჭყვნა და დედა მეფე თეიმურაზისა ქეთევანი კი აწამა; მოინდომა ერის შემცირება და ამისთვის დაიწყო ხალხის ჟლეტა.

ამ სახით ისლამი გამეფდა საქართველოს ტახტზედ. ერთმა შტომ ბაგრატიონთა შთამომავლობისამ (მუხრან-ბატონთამ) უღალატა სარწმუნოებას, თავის ძველ ჩვეულებას, სახელს და ადგილს საქართველოს ტახტზედ. სახელმწიფომ მიიღო ახალი წეს-წყობილება და დაირღვა. ფრიად ძნელია ამ არეულ-დარეულ დროის ამბების გამოკიდება და გაგება.

კიდევ მოვიხსენებთ ორ შესანიშნავ მეფეს. ამ ორში ერთი შესანიშნავია თვისის გენიოსობით, მეორე თვისის დიდბუნებოვანობით. ესენი იყვნენ ვახტანგ მექვსე და ერეკლე II-ე. ამათ ისტორიას ბროსე აღარ მოგვითხრობს და პირ-და-პირ ქართველების ლიტერატურაზედ იწყობს საუბარს.

მ. ჯანაშვილი

---

*) როგორც ჰმოწმობს ამავე სამეცნიერო აკადემიის ჟურნალის რედაქტორი ბროსეს წერილის ერთს შენიშვნაში, ავტორს საბიბლიოგრაფიო წერილისას თვის შრომაში ჩართული ჰქონია კატალოგი ყველა იმ ქართულ წიგნებისა, რომელნიც ოდესმე ყოფილან ქართულს ენაზედ. უადგილობისა გამო, სამწუხაროდ, ამავე №-ში ვერ დავტიე იგი კატალოგი.

*) არსად არ ამოგვიკითხავს, რომ გურიის მთავრებს ოდესმე ჰრქმეოდეთ ათაბაგნი. პირ-იქით, ჩვენ ვიცით, რომ ათაბეგად იწოდებოდნენ ახალციხის მთავრები, გურიისა-კი ცნობილნი იყვნენ გურიელებად. მგონია, რომ აქ ბროსე უნდა სცდებოდეს.

გასართობი

კიდევ ჰიპნოტობის საოცრება. გაზეთ „Revue scientifique“-ში დეროშეს წერილია დაბეჭდილი. აი სხვათა შორის რა ამბებს მოგვითხრობს ბ-ნი დე-როშე: ლაბორატორიაში ერთი ქალი დავაძინე ჰიპნოტობის შემწეობით. ამ ლაბორატორიაში წყალია გამოყვანილი. დავაძინე და ვუთხარ მძინარეს: „მილს მოვხსენ და წყალმა დენა დაიწყო-მეთქი“. ლაბორატორიაში ერთი კიბე იყო აყუდებული. დაძინებულმა რა-კი გაიგო, რომ ოთახში წყალი ჩამოდისო, მივიდა და კიბის პირველს საფეხურზედ შედგა. მე კიდევ წამოვიძახე: „წყალი ვეღარ მოგვიწყვეტია; ოთახი წყლით ივსება; აგერ წყალი მუხლებამდე მადგას, გულამდინ ავიდა, მხრებამდინ“!-მეთქი. დაძინებული შიშით გაფითრდა და კიბეზედ ავიდა მაღლა; მერე წარმოუდგა, ვითომ წყალში ვირჩვებიო, ხრიალი დაიწყო და მართლაც დაიხრჩობოდა, რომ არ შთამეგონებინა: „გაიღვიძე!“-მეთქი. ძრიელ საშიშია საზოგადოდ, რომ ჰიპნოტობით დაძინებულ ადამიანს წარმოუდგენია, ვითომ წყალში იხრჩობა, ან კვდება, ან თოკზედ ჰკიდია, რადგან შეიძლება მართლა სული დალიოსო. მაგალითებრ, წარსულს საუკუნეში ერთი ბრალდებული, რომელსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა გარდაწყვეტილი, ექიმებმა სცდელად თოკებით მიაკრეს სტოლზე, თვალები აუხვიეს და უთხრეს: ყელის ძარღვი უნდა გაგიხსნათ, რომ სისხლისაგან დაიცალო და ისე დალიო სულიო. ამის შემდეგ ნემსით უჩხვლიტეს ცოტადი და ყელზე თბილი წყალი მიუშვეს ნაკადულად, ვითომ და მართლა სისხლი გამოდისო. საწყალს ბრალდებულს წარმოუდგენა, რომ სისხლისაგან დავიცალეო და ექვსის წუთის შემდეგ გარდაიცვალა. ამას წინად კიდევ ინგლისში ერთს ახალგაზრდა ქალს თავის მოკვლა უნდოდა, რწყილის წამალი დალია და ჩაწოლილიყო ლოგინში. რამდენისამე საათის შემდეგ ქალი გარდაცვლილიყო. ამ ქალის გვამი გასჭრეს ექიმებმა, გასინჯეს და აღმოჩნდა, რომ რწყილის წამალს არაფერი დაუშავებინა ქალისათვის. ამიტომ ყველა იმ აზრს დაადგა, რომ ქალი საწამლავმა-კი არა, იმან მოჰკლა, რომ თავი მოწამლული წარმოიდგინა და ამ წარმოდგენების გამო გარდაიცვალაო.

**

გულადი. ვიღაც ნასწავლმა სომეხმა განიზრახა თავის მოკვლა და დარიშხანა დალია: როდესაც დარიშხანამ გულმუცელში დაუარა და თავის-მკვლელმა დაინახა, რომ ეს არის ეხლა კი სიკვდილი აღარა ხუმრობს და საიქიოს გზა-ნაბადს ამკიდებსო, შეშინდა და სამკურნალოსკენ გაჰკურცხლა. მივარდა გულ-გახეთქილი სამკურნალოში და ყველანი დააფეთიანა საზარელის ყვირილით: „არიქა, თქვენი ჭირიმეთ, ვიღუპები კაკალი კაცი და მიშველეთ რამეო“. ექიმებმა გაიგეს რაში იყო საქმე და მაშველეს წამალი. სომეხი მორჩა კიდეც, მაგრამ მაინც კიდევ არ ეხსნებოდა და თავს აბეზრებდა ექიმებს: „გეთაყვა, მითხარით, ხომ არ მოვკვდები! წავალ კი აქედგან, მაგრამ ასარ დარიშხანამ რომ ხელ-მეორედ შემომიტიოს, მაშინ რაღა ვქნა!! ერთი გოჯმაჯა რამ ყოფილა, იმის ჭკუისაგან რა გასაკვირველია?!“

დეპეშა

20 მარტი

პეტერბურგი. დღეს სენატის საკასაციო დეპარტამენტმა სასისხლო სამართლისამ მოისმინა საკასაციო საჩივარი მსჯავრ-დადებულთა კოზლოვის საზოგადო ბანკში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა გამო. ობერ-პროკურორის ამხანაგმა მარკოვმა სთქვა, რომ ყველა ბრალდებულთა საჩივარი უყურადღებოდ უნდა იქმნას დატოვებულიო. სენატმა თავის განაჩენის გამოცხადება 27 მარტისათვის გადასდო.

კურსკი. გარდაიცვალა კურსკის ეპისკოპოსი მიხაილი.

ბუხარა. ამ დღეებში ბუხარეთის ემირმა და მისმა დიდებულებმა ხოხარულით მიიღეს დირექტორი და გამგებელი შუა-აზიის ამხანაგობისა კუდრინი. კუდრინმა წინადადება მისცა ემირს და მოახსენა, რომ ამა-და-ამ ღონის-ძიებით შეიძლება განკარგდეს შუა-აზიის წარმოება, მეტადრე წარმოება მამბისაო. ამაზე ემირმა და მისმა დიდებულებმა დიდი თანაგრძნობა გამოაცხადეს. ხსენებულმა ამხანაგობამ დაურიგა ხალხს ამერიკის ბამბის თესლი ამ გაზაფხულზედვე დასათესად. რადგან საქმე ასე დატრიალდა, ხრული იმედია, ბამბის თესვა ფეხს მოიკიდებს ბუხარაში, თუ ჯეროვანი შემწეობა არ მოაკლდა.

სოფია. პოლიტიკის კაცნი, რომელნიც დაიჭირეს სოფიაში რუშჩუკის არეულობათა შემდეგ, ეხლა უკვე განთავისუფლებულნი არიან, კარაველოვის გარდა; ნიკიფოროვს-კი, როგორც ისმის, დაასახლებენ საცხოვრებლად ერთ-ერთს ბოლგარიის შიდა ქალაქში.

რიზა-ბეის სრულიად არ უთქვამს, რომ მალე წავალ სოფიადამაო.

21 მარტი

პეტერბურგი. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს დურნოვოს გამოეცხადა უმაღლესად მადლობა ერთგულად და ხამაგალითოდ თანამდებობისა და მოვალეობის აღსრულებისათვის.

„Journal de St.-Petersbourg“-ი ლაპარაკობს ამ უკანასკნელს ხანში ავღანისტანიდამ მოწერილს ახირებულს დეპეშებზე და ამბობს, რომ ჩვეულებრივ ამ გვარის დეპეშებით უნდათ ხოლმე შეაშფოთონ საზოგადოება და დააფრთხონ ბირჟებიო; ხოლო ამ ჟამად არავითარი მიზეზი არ არსებობს იმისი, რომ ავღანის ემირი მტრულად ექცეოდეს რუსეთსაო. ამ გვარის ხმების უსაფუძვლობას ისიც ამტკიცებს, რომ პეტერბურგში მალე უნდა დაიწყონ კვლავ მოლაპარაკება ავღანის სამზღვრის გამოვგო.

ლონდონი. ლორდთა პალატაში ინდოეთის საქმეთა მინისტრმა სთქვა, რომ მე მნიშვნელობას არ ვაძლევ იმ ხმებს, ვითომ ემირს სამღვთო ომი გამოუცხადებია რუსეთის წინააღმდეგაო. მე არა მჯერა, რომ ემირს გულში რამე მტრობა ედოს რუსეთისაო. ავღანისტანში არეულობის გამო ხმები მიწყდაო.

საზოგადოებათა პალატამ შეიწყნარა პირველ წაკითხვის შემდეგ კანონი ირლანდიელთათვის.

პარიჟი. გაზეთი „Liberté“ ამტკიცებს; რომ რუსეთში ოფიციალურად აღგვითქვა, მონაწილეობას მიგიღებ პარიჟის მხოფლიო გამოფენაში 1889 წელსაო.

ბუქარესტი. ბოლგარიის ორმა ემიგრანტმა სცადა მოეკლათ აქ დროებით მყოფი რუშჩუკის პრეფექტი მონტოვი. პრეფექტი დაიჭრა, ხოლო, როგორც ეტყობა, ჭრილობა მძიმე და საშიში არ არის.

პეტერბურგის ბირჟა, 21-ს მარტს ფასები:

	მყიდველობა	გამყიდველობა	გაყიდულობა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— ›	— ›	9 27
ტამოჟნის კუპონები . .	— ›	— ›	$190\frac{3}{4}$
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ›	— ›	$245\frac{1}{4}$
— მეორისა	— ›	— ›	$230\frac{1}{2}$
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა. . .	— ›	— ›	97 ›
ქუთაისის ბანკისა . . .	— ›	— ›	97 ›
ტფილ სისხ ურთიერთო ნდობი საზო კადოებისა.	— ›	— ›	$84\frac{1}{2}$

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულისწმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

მარტი 31 დღით არის

22 დღე კვირა. მოწ. ვასილი მღვდელისა და სხვ. კათოლ. პავლესი. მუსულ. დაბადება იმამის მამედ-თალიასი (შიიტ.). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 5—39, ჩადის 6—28.

23 დღე ორშაბათი. ღირსისა ნიკონისა და 200 მოწამეთა. ქათოლ. დედოფ. ეკატერინესი. სომეხ. მე-36 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-11 რიცხვი თვისა რაჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. დაარსდა ამიერ კავკასიის ინსტიტუტი კეთილ-შობილთა ქალთათვის ტფილისში, 1840 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—37, ჩადის 6—30. მთვარე 12 დღისაა.

Дов. ценз. Тиф. 22 марта, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე